ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №7448558

ნომერი: AR11085324

თარიღი : 03.04.2025

გაცემის თარიღი : 17.04.2025

გაცნობის თარიღი : 23.04.2025

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მარიჯანის ქუჩა, N 8ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ გოცირიძე პ/ნ 01024019378
- საბურთალოს 59ბ

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

## გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა

თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:
გაცნობებთ, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთის კოეფიციენტები გადამეტებულია კონკრეტული ფუნქციისთვის,_ შერეული ფუნქციის ნაგებობა (ახალგაზრდული კლუბი. ბავშვთა გასართობი ცენტრი, სასტუმრო). აღნიშნულიდან გამომდინარე, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანასა და ახალი ფუნქციების დაფიქსირებაზე სამსახური ვერ იმსჯელებს.
ასევე გაითვალისწინეთ, რომ ფუნქციის ცვლილების შემთხვევაში საჭირო გახდება ობიექტის შესაბამისობაში მოყვანა „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების პირობებთან.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას, დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.